ექიმის ფიცი

როგორც სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელი:

- საზეიმოდ ვფიცავ, ჩემი ცხოვრება მივუძღვნა ადამიანის სამსახურს;
- ჩემი პაციენტის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა იქნება ჩემი პირველი საზრუნავი;
- პატივი ვცე ჩემი პაციენტის დამოუკიდებლობას და ღირსებას;
- კვლავაც უსაზღვრო პატივი ვცე ადამიანის სიცოცხლეს;
- არ დავუშვა პაციენტის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, აღმსარებლობის, ეთნიკური კუთვნიოლების, სქესის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, რასის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური მდგომარეობის, ან სხვა ფაქტორის ზეგავლენა ჩემი პროფესიული მოვალეობის აღსრულებაზე;
- შევინახო ჩემთვის მინდობილი საიდუმლო, პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი;
- კეთილსინდისიერად და ღირსეულად შევასრულო ჩემი პროფესიული მოვალება, კარგი სამედიცინო პრაქტიკის შესაბამისად;
- შეძლებისდაგვარად დავამკვიდრო საექიმო პროფესიის კეთილშობილური ტრადიციები;
- ღირსეული პატივი და მადლიერება მივაგო ჩემს მასწავლებლებს, კოლეგებს და სტუდენტებს;
- გავუზიარო ჩემი სამედიცინო ცოდნა პაციენტის სასარგებლოდ და ჯანმრთელობის დაცვის განსავითარებლად
- ყურადღებას მივაქცევ საკუთარ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და შესაძლებლობებს, რათა შევძლო უმაღლესი სტანდარტის დახმარების აღმოჩენა;
- არ გამოვიყენებ ჩემს სამედიცინო ცოდნას ადამიანის უფლებების და სამოქალაქო უფლებების დარღვევისათვის მუქარის ქვეშაც კი;

ამ აღთქმას ვდებ საზეიმოდ, ნებაყოფლობით და უანგაროდ!